

კ. კაკელიძე

ქართული აპოკრიფული ლიტერატურის ისტორიიდან

(მარტვილობა ქრისტეფორე კინოკვალისა)

I. მასალები ქრისტეფორეს აგიოგრაფიისათვის

აგიოგრაფიულ აპოკრიფთა შორის, რომელნიც საკმაო რაოდენობით შენახულან ძველ ქართულ მწერლობაში, საყურადღებოა „ქრისტეფორეს მარტვილობა“. ეს ძეგლი ფაბულურად იმდენად საინტერესოა, რომ მას, ამა თუ იმ სახით, ჩვენ ვპოულობთ ყველა ქრისტიან ერთა მწერლობაში, როგორც აღმოსავლეთში¹, ისე დასავლეთში. დასავლეთ საქრისტიანოში იმის შესახებ შენახულა ლათინურ ენაზე სხვადასხვა კალენდარული და სვინაქსარული ცნობა, რომელიც შეკრებილი, კომენტირებული და გამოცემულია Acta Sanctorum-ში, Jul VI². ბერძნულ ენაზე ეს ძეგლი შენახულია რამდენიმე რედაქციით³. ჩვენ შევიჩრდებით სამს გამოქვეყნებულ რედაქციაზე: ერთი გამოცემულია 1882 წელს Analecta Bollandiana-ში (G. Van Hooft-ის მიერ ლათინური თარგმანის თანდართვით (t. I, p. 121—148). ამ რედაქციას ჩვენ აღვნიშნავთ ასო H-ით. ორი რედაქცია გამოქვეყნებულია H. Usener-ის მიერ 1886 წელს⁴ ორ სართულად: ზემო სართულში მოთავსებულია ტექსტი, გამოცემლის მიერ აღნიშნული A-თი, ხოლო ქვემო სართულში B-თი. არქეტიპი, რომლიდანაც მომდინარეობენ ეს რედაქციები, უფრო შემონახულია A რედაქციაში (Usener, S. 54). ისინი გადმოგვცემენ საერთოდ ერთსა და იმავე მოთხრობას აუცილებელი ვარიანტებით, რომელნიც თავს იჩენენ შევსება-შენოკლებაში, ლექსიკა-ფრაზეოლოგიაში, გრამატიკულ სინტაქსურ თავისებურებასა და ფაქტიური მასალის ამ თუ იმ საზომით გადაკეთებაში.

ქართულად შენახულია ორი რედაქცია ქრისტეფორეს „მარტვილობისა“. პირველი რედაქცია მოთავსებულია მეთერთმეტე საუკუნის დამდეგის ორ ხელნაწერში: A—9ა და II—341. მეორე რედაქციას ჩვენ ვიცნობთ ხუთ ხელნაწერში; ეს ხელნაწერებია: სინას მთის № 62 (X ს.), ბოდლესი (XI ს.), ათო-

¹ სირიელსა და სომხურ მწერლობაში, იხ. Bibliotheca hagiographica Orientalis, p. 46.

² შეად. Catalogus codicum hagiographicarum Bibliothecae regiae Bruxellensis, Paris, t. I, 1 et 2, აგრეთვე Analecta Bollandiana, t. I p. 121 et pass.

³ F. Halkin. Bibliotheca hagiographica graeca, t. I, p. 108—110 რუსული სამეცნიერო-ლიტერატურაში დაწვრილებითი ცნობები ქრისტეფორეს შესახებ შეკრებილია აკად. ა. ნ. ვსესლოვსკის შრომაში: Из истории романа и повести, вып. I, 1886, გვ. 453—476

⁴ Festschrift zur fünften Säkularfeier der Carl-Ruprechts-Universität zu Heidelberg, Bonn, 1886, S. 57—76.

ნის № 57 (რეტორიკის დამდეგისა), ათონისავე № 53 (1103 წლისა). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის II—535 (X—XI ს.)². ამ ხელნაწერებში შემონახული ტექსტები ერთი და იმავე რედაქციისაა, ეს ჩანს მათი დასაწყისი სიტყვებიდანაც. ამ ორი რედაქციის დასახასიათებლად მოვიყვანთ ექსცერპტებს თავში, შუაში და ბოლოში ორივე რედაქციიდან. მეორე რედაქციის ექსცერპტები მოყვანილია ნ. მარის მიერ შედგენილს სინას მთის ხელნაწერთა აღწერილობაშიც (გვ. 117—118).

I რედაქცია

წელსა მას მეოთხესა დეკოზ მეფისასა იყო იგი უცნობით განმამრავლებულ და გულმოდგინე მსახურებასა კერპთასა და მსმლაჯრობდა მოსაუთა ქრისტესთა. და განსცა ბრძანებაჲ მთავართა ნისთა და ჰრქუა: „ყოველსა, რაჲდენსაცა ჰპოვებდეთ სახეებასა ზედა ქრისტესსა, ბილწითა მით საკმლითა შეაგინებდით; ხოლო რომელთა არა გისწინონ. საშჯელსა ნისცემდით“...

„ხოლო თენი იგი ბოლუაწმ ქრისტესი დგა ზედა ტახტსა მას. აღეპყრეს კელნი თანნი და ჰრქუა ერისა მის მიმართ, რამეთუ იყვნეს ბევრ ერთ ოდენ: „ისწინეთ, ძმანო ჩენო, ბილწაჲ, რომელი ვიხილე თე ამას ჟამსა. ვიხილე მე შორის ქალაქსა ამას კაცი შავი სიშავითა დიდითა, ხოლო თმამ თავისა მისისაჲ გარდაკეცილ იყო, ვითარცა ჯაქვ. და იყო მის თანა სხუაჲ კაცი უდიდებულს მისა ფრიად და ერი კურვილი არამკირედი იყო მის თანა...“

ხოლო წმიდაჲ იგი მაშინლა მიიქცა და ჰრქუა მკულელსა მას: „მოვედ, შვილო. და ყავ ნებაჲ მეფისა შენისაჲ“. ხოლო მან დიდითა ცრემლითა აღიპყრა მახალი და ურუნა უფალსა ღმერთსა. და მაშინლა მიყვნა კელნი წმიდასა მას და მოჰქუეთა თავი მისი წმიდაჲ. ხოლო მკულელმან მან განაგდო კრძალი იგი, მივიდა და შეეტკობა გუამსა მას წმიდისასა და იგიცა შეირაცა წმიდათა მოწამეთა თანა. იყო აღსრულებაჲ ნეტაონისა მის მეთორმეტესა დღესა მთვსა იგრიკისასა, დღესა კარიაკესა... მოვიდა ათანასე ეპისკოპოსი, მოსახლერს სპარსეთისაჲ, ქალაქისა იტალიასაჲ, და მისცა ოქროჲ დიდძალი მახურთა მათ მეფისათა და მოსთხოვა გუამი იგი სანატრელისაჲ მის და სხუანიცა კორცნი წმიდათანი დაილუაწნა.

ჩვენ ამთავად ვახერხებთ მხოლოდ პირველი რედაქციის გამოცემას არსებული ორი ხელნაწერის მიხედვით: A—95 (—A) და II—341 (—B), მეორე რედაქციიდან მოგვყავს შესადარებლად ცალკეული ადგილები. გარდა მარტვი-

II რედაქცია

წელთა მეფობისა იელიანსთ და დეოკლიტიანსთა დეკო მსაჯულითურთ სავსე იყო ყოველი ქუეყანაჲ მათი კერპთმსახურებითა და ეძიებდეს ქრისტეანეთა. და დეკო იყო კელწიფს, რომელი ბრძანებდა ყოველსა ამას სოფელსა, და თქუეს. „სადაცა იყოს ღმერთს მსახური, შეკართ და მოიყვანეთ იგი აქა“.

„ხოლო სანატრელმან ქრისტეფორე აღმოსავალით პირი იქცია და დადგა ბათრონსა მას ზედა და თქუა. „ისწინეთ, ძმანო, ვიხილე მე ამას ჟამსა საშრვალ ქალაქსა მას კადი ერთი შუენიერა პირითა, და ჰარბი მისი იყო ვითარცა მზის თუალი და სანოსილი მისი თეთრი ვითარცა თოვლი. ხოლო გარგასა რომელი ედგა, ვერ შემალუბელ ვარ თხრობად. და ერი ნოაველი იყო მის თანა, და კაცი ერთი ვიხილე შავი და თმამ თავისა მისისაჲ დაწმასნულ იყვნეს, ვითარცა ულოე...“

და მივიდა და ჰრქუა მკულელთა მათ: „მოვედით, შვილნო. და აღასრულეთ ბრძანებაჲ უფლისა თქვენისაჲ. ხოლო გაფუცებ თქვენს, ნუ განგრძობილად მომკლავთ მე“. და ვითარცა ესე თქუა, მოიბეჭდა პირი და გამოიწერა ჯუაზი ყოველთა ასოთა და მიფუროცა ქედო. და მოჰქუეთუჲ თავი თუესა ნიქრატისასა ხუასა, დღესა კარიაკესა, ჟამსა მესამესა. და ესე ეპისკოპოსა ქალაქისა იტალიასაჲ, რომელსა სახელი ერქუა . თანასი, რომელი არს სახლგართა სპარსეთისათა. მოვიდა და მისცა სამსი დრატკანი მოხკლველთა მათ და წაოხუნა მუალნი სანატრელისა მოწამისანი.

² ამ ხელნაწერთაგან ჩვენთვის ხელმისაწვდომია ორი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის II 535 და ათონის № 57 (ფოტოკოპიით).

ლობისა* ცნობილია ქრისტეფორეს სახელობის ლიტურგიკული ჰიმნებიც. ბერძნულ ენაზე შენახულია საგალობლები იოანე დამასკელისა (VIII ს.) და თეოფანესი (IX ს.), ქართულად კი ოთხი ჯგუფი ასეთი ჰიმნებისა (A—596 და H—1710), რომელთაგან ერთი ჯგუფი მიეწერება ქალკიდონის მთავარეპისკოპოსს დანიელს (H—1710. ფ. 42v—44v). ასეთი ჰიმნოგრაფი ბერძნულმა ეკლესიამ არ იცის, მით უფრო მეტია მეცნიერული ღირებულება ქართული ჰიმნებისა. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ჰიმნებში არაერთი ბიოგრაფიულ-ისტორიული ცნობა ქრისტეფორეს შესახებ არ მოიპოვება. ისინი წარმოადგენენ მისი მოწამებრივი ღვაწლის მშრალ ქება-დიდებას.

II. მოკლე შინაარსი თხზულებისა

ქრისტეფორეს წარმართობაში ეწოდებოდა ჰრეპრებე. რაც ლათინურ ენაზე ნიშნავს საძაგელს (Reprobus), ალბათ იმიტომ, რომ მისი თავი წააგავდა ძაღლის თავს. ის წარმოშობით იყო „ქუეყანისაგან კაცისმკამელთა“. დღეივ იმპერატორის მეოთხე წელს ლაშქრობის დროს ის ტყვედ ჩავარდნით რომაელებს და თითქოს მიუგვრიათ იმპერატორისათვის, რომელც ერთობოდა ხოლმე მისი საოცარი შეხედულებით. ის, რწმენით უკვე ქრისტიანი, ხედავდა რა ქრისტიანთა ტანჯვა-წამებას, მონდომებულ იყო ენხილებინა წარმართობის წარმომადგენელი, მაგრამ მოკლებული იყო ადამიანური ლაპარაკის უნარს. ერთხელ შევიდა ეკლესიაში და ევედრებოდა ღმერთს, მისცეს მას ენა სიტყვისგებისა. ღმერთმა მას „სასწაულებრივ“ შეუსრულა თხოვნა. ის დაბრუნდა სასახლეში და დაიწყო სასტიკი მხილება და შეურაცხყოფა წარმართებისა. მისი სიტყვები გაიგონა მტანჯელთა უფროსმა ბაქთიოსმა, რომელმაც მას სასტიკად სკეპა აწაიათვის და მერე ყველაფერი უამბო მეფეს. უკანასკნელმა გაგზავნა 200 მხედარი და დააეალა მათ: მომგვარეთ ის კაცი ან ცოცხალი ან მკვდარი. ისინი წავიდნენ და ერთი ქალის ჩვენებით მოძებნეს ის, ეკლესიის ეზოში მტირალი. მხედრები მივიდნენ მასთან და, მოკლე საუბრის შემდეგ, წაიყვანეს თან. გზაში საგზალი თითქმის შემოელიათ; მთავარანგელოზმა რაჟიელმა ვანამრავლა სანოვავე ჩათი და დააძლო ისინი. ამან ისე იმოქმედა ჯარისკაცებზე, რომ მათ აღიარეს ქრისტიანობა და მის შემდეგ ქრისტეფორემ წაიყვანა ჯარისკაცები ანტიოქიის ეპისკოპოსს პეტრესთან, რომელმაც დანათლა ისინი, ჰრეპრებეს მან უწოდა ქრისტეფორე. ამის შემდეგ ის მიჰყარეს იმპერატორს. როდესაც იმპერატორმა დაინახა მისი საშინელი სახე და მასთან მღგომარენი, შიშმა შეიპყრო და ტახტიდან გადმოვარდა; ის ძლიერდროებით მოასულიერეს. მან წინადადება მისცა ქრისტეფორეს დაბრუნებოდა კერპთაყვანისმკემლობას. რადგანაც ქრისტეფორემ უარი უთხრა, ის ჩამოკიდეს თმებით ხეზე და სასტიკად სცემეს მას ჯოხით. რადგანაც ამ სასჯელმა ქრისტეფორეზე არ იმოქმედა, მეფემ ფიზიკურ ტანჯვაზე სული აიღო და სხვა სერხს მიმართა. მან მოაყვანა ორი მეძაფე ქალი. კალენიკე და აკვილია, და შეუგზავნა ქრისტეფორეს იმ იმედით, რომ ისინი შეაცდენდნენ მას და მეუვის სურვილს შეასრულებინებდნენ, მაგრამ ქრისტეფორემ თვითონ მოაქცია ისინი, რისთვისაც ორივენი დასჯილი იქნენ საშინელი სატანჯველით. შემდეგ მეფემ მოუწოდა 200 მხედარს და როდესაც სცნო, რომ მათ ქრისტე აღიარეს, თავები მოჰკვეთა მათ. მეორე დღეს მეფემ ბრძანა გაეკეთებინათ სპილენძის ტახტი, რომელსაც მიაქედეს ქრისტეფორე. მერე

მოიტანეს შეშა, ფისი, ნაკთი და ზეთი და გაახურეს ტახტი. წამებინა ამ იარაღმა იმსხვერპლა წარმართთა 70 სახლი და 200 ცეცხლის მსახური. ქრისტეფორე კი უვნებლად დაინახეს ტახტზე. მან მიმართა იქ შეკრებილ 10000-მდე კაცს სიტყვით, რომელშიაც უამბო მათ შემდეგი: „ნას თითქოს ეჩვენა ერთი ბრწყინვალე კაცი. რომელმაც მისცა მას ძალა გადაეტანა ეს საშინელი წამება. ამ კაცს შეება მეორე შავი კაცი თავისი მიედრობით, მაგრამ სასტიკად იძლია მისგან. ეს თითქოს ნიშნადა იმას, რომ ეშმაკი და მისი მხედრობა დათრგუნულ იქნებიან ქრისტიანობასთან ბრძოლაში, ამან იზღინად იმოქმედა მსმენელებზე, რომ ამ 10 000 მა კაცმა ქრისტე ირწუნა. ამისათვის მეფემ ისინი ყველანი ამოაწყვეტინა. ამის შემდეგ, თანამად მეფის ბრძანებისა, ქრისტეფორეს გამოაბეს ლოდი. ჯერ ათრიცა ქუჩა ქუჩა ქალაქში, მერე გადაავიწროეს კლდეზე, მაგრამ, რადგანაც მას ანგელოზი იცავდა, არაფერი მას არ ევნო. მეფე ერთხელ კიდევ შეეკადა გადმოეხირობია ქრისტეფორე, მაგრამ, რადგანაც მიხანს ვერ მიაღწია, ბრძანა თავი მოეკეტათ მისთვის. ჯალათი, რომელმაც მას თავი მოჰკვეთა, თვითონ გაქრისტიანდა, რისთვისაც ისიც სიკვდილით იქნა დასჯილი. სპარსეთის მოსაზღვრე ქალაქის იტალიის ეპისკოპოსმა ათანასემ მეფის მსახურთ მისცა დიდძალი ოქრო და მოისყიდა გვამი ქრისტეფორესი. მისთვის მან ააშენა სამარტვილე მდინარის ნაპირას და იმანი დაასვენა გვამი ქრისტეფორესი.

III. ბერძნულ-ქართული საღვთისმეტყველო წარმართობა

ზემოთ ჩვენ ვამბობდით, რომ ქრისტეფორეს წარმართული საღვთო *Πεπεχθε* გამოჰყავთ ლათინური *reprobus*-იდან; არის მეორე შესვლაც. თითქოს აქ ჩვენ გვაქვს არამეული სიტყვა *rahras* (საბრძოლად *rauras*), ესე იგი *grandis* (L'sener, 56). ქართული თარგმანია პირველ რედაქციაში ასეთი სურათია: „ში ორჯერ გვაქვს ჰრებრებე, ერთხელ—ჰრებრებოს, II-ში: ჰრებრებე (სამჯერ), ერთხელ ჰრებრებოს. მეორე რედაქციაში: რებრებო, ჰრებრებოს, ჰრებრებო (II—535 ათ. №57). ჩვენს გამოცემაში მიღებულია ჰრებრებე. არც ბერძნულში, არც ქართულში არ ჩანს, თუ სადაური იყო ის; ნაჩვენებია მხოლოდ, რომ ის იყო „უცხოთესლთა ნათესავი და ძალღისთავი იყო იგი, რამეთუ იყო სოფლისაგან კაცის-მქამელთაჲსა“. „კინოკეთალოს“, „კინოპროსოპია“, „ანტროპოთაგას“. — ეს ისეთი სახელებია, რომელთაც ლეგენდურ-აპოკრიფულ წყაროებთან მივყევართ. საშუალო საუკუნეთა მწერლობაში ეს საცხადო ვერცელებული მოტივია. მაგალითად, ქართულ ენაზე არსებობს ნათარგმნი თხზულება „მიმოსლვაჲ მოციქულთაჲ, ოდეს იგი წარავლინა უფალმან მოციქული ანდრია სოფელსა მას კაცის-მქამელთასა გამოყვანებად მათსა საპყრობილით“. „ქუეყანაჲ ძალღის-თავთაჲ“ მოხსენებულია აგრეთვე მაკარი რომაელის „ცხოვრებაში“. მაკარი და მისი თანამგზავნი მისულან ქალღისთავთა ქუეყანაში; „და წარველეთ შუა მათსა, განკრეებით შემოგუბედვიდეს და არას გუვნებდეს ჩუენ, რამეთუ თითოეული მათი იყოფოდეს კლდესა ქუეშე ცოლით და შვილით მათითურთ და ქუაბად თვსთვსად ბუდეთა“. ლა-

* ქ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 420; Lipsius, Die Apokryph. Ap. Steugeschich. III, 77—96; Galdi, Rendiconti D. K. Accademia dei Lincei, I. I. IV.

† ქ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 57; კინოკეთალების შესახებ იხ. აგრეთვე A. H. Веселовский, Из истории романа и повести, III, I, გვ. 331—362 და 453—476.

თინური წყაროების ცნობით, ქრისტეფორე იყო თითქოს „კანინელი“ (კინოკეტალოს სიტყვის პირველი ნაწილიდან), აქედან — Chauaneus*.

ქრისტეფორე რომაელებს ტყვედ ჩავარდნით ხელში ომის დროს და მიუგვრიათ იმპერატორისათვის, რომელიც ერთობოდა ხოლმე მისი არაჩვეულებრივი შეხედულებით. ეს ცნობა მხოლოდ ქართულშია, ბერძნულმა რედაქციამ ეს დეტალი არ იცის, სამაგიეროდ უკანასკნელში გვაქვს ცნობა, რომელიც ქართულმა არ იცის, იმის შესახებ, რომ ტყვედ წამოყვანის შემდეგ ის მიაწერეს „მარმარიტა“ ლეგიონს, რომელიც აღმოსავლეთში ბინადრობდა¹. ლეგიონის ამ სახელის გამოძახილი გვაქვს მეორე ქართულ რედაქციაში (II—535, ფ. 145. ათონ. № 57), სადაც ვკითხულობთ: მეფემ ქრისტეფორე „შერთო ერისთავთა ერისთავსა (N—57), ერსა მას ერისთავიასა“ (II—537), რამეთუ სახელი ერქუა მას მარგალიტ (ათონ. № 57) ან „მარგალიტ კაც“. „მარგალიტ კაც“ აქ თითქოს ადანიანის სახელია, ნამდვილად კი ის არის დამახინჯება ლეგიონის სახელისა: ლეგიონი *Μαργαριτων. Marmaritarum. Marmatarum*¹⁰. ბერძნული *Μαργαριτων* გაგებულია მთარგმნელის მიერ როგორც „მარგალიტი“. შთაბეჭდილება მოთხრობიდან ისეთია, რომ ტყვედ წამოყვანის შემდეგ ქრისტეფორე ცხოვრობს იმპერატორთან ერთად ანუ მის მახლობლად, და ის მას უშუალოდ ესაუბრება, მაგრამ სადაური იყო ის ან რომელი ომში ჩავარდა ტყვედ, არ ჩანს.

ქართულს მეორე რედაქციაში (II—535, ათონ. № 57) არის საყურადღებო ცნობა, რომელსაც ვერ ვპოულობთ ვერც პირველ რედაქციაში, ვერც ბერძნულ ტექსტებში. სახელგობრ: მეფემ გამოსცა ბრძანება — „სადაცა იპოვოს ქრისტეანნი, შეკართ იგი და მიუყვანეთ რუფინ მტარკალთ მოძღურისა. ხოლო მან ვითარცა იხილნა შეყრებულნი, ჰრქუა: „ვანძლიერდით, ძმანო, არა ხოლო თუ თქვენ, ქრისტეანეთა, შემწე არს ღმერთი, არამედ წარმართთაცა ყოველთა, რომელთა ჰრწამს ღმერთი, ექმნის იგი მათ ნიჭის მიმცემელ“ (ათონ. № 57, II—535).

იმ კაცის სახელი, რომელმაც პირველად სცემა ქრისტეფორეს და მეფეს აუწყა მისი ქრისტიანობა, ბერძნულს ორ რედაქციაში (AB) არის *Βαχισαυα* (შესამე რედაქციაში მისი სახელი სულ არ ჩანს), ქართულში კი: პირველ რედაქციაში — ბაქთიოს ან ბაკთეოს, მეორეში — კოლასია (ათონ. № 57) თუ კულასია (II—535).

ქრისტეფორეს გარეგნობის აღწერილობა ბერძნულში, ქართულთან შედარებით, უფრო მოკლეა. მეფემ გაგზავნა 200 ჯარისკაცი ქრისტეფორეს საძებნელად. ქრისტეფორე ლოცულობს; ეს ლოცვა ბერძნულში უფრო ვრცელადაა წაშლილი; ქართულში ის ასე იწყება: „უფალო, რომელმან ორთა მათ მარჩბივთა მკეცი იგი დაუშმუდენ და ლომთაგან დანიელ იქსენ“. ორ მარჩბივად აქ უნდა იგულისხმებოდნენ რომაელთა ლეგენდის პერსონაჟები — რომული და რემი. შეტანა ამ ლეგენდისა აგიოგრაფიაში საყურადღებო მოვლენაა, მით უმეტეს, რომ ბერძნულ რედაქციებში ეს არ გვაქვს. უკანასკნელში ამ სიტყვების მაგიერ ვკითხულობთ: „უფალო, რომელმან ცეცხლსა შინა შეისინიე სამთა ყრმათა ვედრებაჲ“.

* *Analecta Bollandiana*. I, 517.

¹⁰ *Ibid.* p. 123, not. 1.

¹¹ *Ibid.* p. 123, not. 1.

როდესაც ქრისტეფორე მიჰყავდათ ჯარისკაცებს და მათ საგზალზე ზემოაკლდათ, მთავარანგელოზმა რაფიელმა აკურთხა ის ცოტა მარაგი, რაც მათ გააჩნდათ, და დააძღო ისინი. რაფიელის სახელი ბერძნული რედაქციებიდან არის შიშობად HR-ში, A-ში არაა, არაა ის არც ქართულ მეორე რედაქციაში.

ჯარისკაცებმა სთხოვეს ერთ ქალს. რომელიც მოსულიყო „მოწილვად ვარდი სამოთხეაა შინა“ (ათონ. № 57. H - 535: „რომელი ზოვიდის ტაძრად უფლისა და მოქთინის ვარდი“), ეჩვენებინა მათთვის ქრისტეფორეს სამყოფი ადგილი, რისთვისაც მას შეიდი ოქრო შესთავაზეს. ცნობა შეიდი ოქროს შესაბამებ ბერძნულ რედაქციებში არაა, არაა ის არც ქართულ მეორე რედაქციაში.

როდესაც ჯარისკაცებმა ქრისტე ირწმუნეს, ქრისტეფორემ ისინი „აღმოიყვანა ანტიოქია ქალაქად პეტრე ეპისკოპოსისა და ნათელ-სცა მათ“. ამ შენთავევაში ქართულ რედაქციას არაფერი საერთო არ აქვს ბერძნულ რედაქციებთან, რომლებშიაც პეტრეს მაგიერ დასახელებულია „ნეტარი ეპისკოპოსი ბაბილა“ (IIB), A-ში კი ნათქვამია: აღმოიყვანა სირიის ანტიოქიაში, სადაც ნათელსცა მათ ბაბილა ეპისკოპოსმა. ბაბილა იყო ანტიოქიის ეპისკოპოსად 238 - 250 წლებში, მაშასადამე, ის მართლაც მოდის თანამედროვედ დეკიოზ იმპერატორისა, აქედან ქრისტეფორესიც. საიდან გაჩნდა ქართულში მის მაგიერ პეტრე? ანტიოქიის ეპისკოპოსი, რომელსაც პეტრე ეწოდება, პირველად გვხვდება მხოლოდ მეხუთე საუკუნის დასასრულს. ეს მოხდა ალბათ ქართული თარგმანის დედანში შემდეგს საფუძველზე: ბერძნული რედაქციებით, სიკვდილით დასჯილ ქრისტეფორეს ასაფლავება პეტრე, ატალიის ეპისკოპოსი; ჩანს, მომხდარა კონტამინაცია: ეს პეტრე ალბათ შეცდომით გადაქცეულა ანტიოქიის იმ ეპისკოპოსად, რომელმაც მონათლა ქრისტეფორე და 200 ჯარისკაცი. ქართულ მეორე რედაქციაში საქმე სულ სავანაირადაა წარმოდგენილი: „აღდგეს და მოუწოდეს ხუკესსა ერთსა მის ადგილისასა, რომელსა სახელი ერქუა პეტრე“, მან მონათლა ჯარისკაცები და პეტრეო (ათონ. № 57, ხელნაწ. ინსტ. II - 535). შესაძლოა ეს რედაქცია უფრო ნართალი იყოს, ვიდრე სხვები.

მას შემდეგ, რაც 200 ჯარისკაცს სიკვდილით დასჯიან, იმპერატორი, ბერძნული რედაქციით, კვლავ აწყობს ქრისტეფორეს დაკითხვას. ეს დაკითხვა ქართულში არაა.

მერე შეუდგებიან ქრისტეფორეს ცეცხლში ტანჯვას. ამისათვის დაამზადებენ, ქართულით, „რვალს ტახტს“ (ბერძნულით *σχαλαριον*), ან ქართული მეორე რედაქციით, „ბათრონსა აპილენძისასა“, და გაახურებენ მას. ამ მიზნით მოაქვთ: 178 ტვირთი შეშა (ასეა ბერძნულ II-შიც, AB-ში არაა), 200 ლიტრა ფისი და ნავთი (ბერძნულმა ეს არ იცის), 70 ლიტრა ზეთი, ბერძნულით (H) - 20 ლიტრა (AB-ში არაა). ეს ციფრები არ იცის არც ქართულმა მეორე რედაქციამ.

ბერძნულ რედაქციაში არაა თხრობა იმის შესახებ, რომ ცეცხლმა და გამდნარმა ფისმა შთანთქა წარმართთა 70 სახლი და 200 ცეცხლის მსახური. ქართულ მეორე რედაქციაში ნათქვამია: „და დაწუა სახლები მრავალი და დაამხუნეს ვითარ ოცდაათი ოდენ“.

მას შემდეგ რაც ქრისტეფორემ გააცნო ხალხს ხილვა დიდებულისა და შავი მეფეების შებმისა, ქრისტე ირწმუნა, პირველი ქართული რედაქციით,

„ბევრმა“ (10000) სულმა, ხოლო მეორე რედაქციით „ორმა ბევრმა“. ბეოპ-
ნულა ორ რედაქციაში (AB) ეს სულ არაა, ხოლო ერთში (H) ნაჩვენებია
1000 სული (χ.α.β.α.). როდესაც მათ ქრისტე აღიარეს, ნათქვამია მხოლოდ
ქართულ მეორე რედაქციაში, „აჰა ესერა საძნი ხუცესნი მოიწივნეს მუნ
მსწრაფლ და ნათელ სცეს მათ ყოველთა“. ეს ცნობა ბუნებრივი შეცდებაა
სხვა რედაქციისა. როდესაც ახლადმოქცეულთა გვამები მეფემ დააწვევინა,
ნათქვამია ამავე ქართულ მეორე რედაქციაში, „მოვიდეს მუნ დიაკონნი ათა-
ნასე ეპისკოპოსისანი და წარიტაცნეს ნეშტნი ძუალთა მათთანი და მოიხუნეს
იტალიად ზემოსა მას ქალაქსა“. ეს უკანასკნელი გარემოება იგულისხმება
პირველი ქართულისა და ბერძნული რედაქციის ცნობაში, რომ ამ ათანასემ
„მოსთხოვა მსახურთა მეფისათა გუამი სანატრელისა ქრისტეფორესი და სხუ-
ანიცა ჯორცნი წმიდათანი დაილუაწნა .. და მოილო თჳსა ქალაქად“.

კალენიკემ წარმართთა ტაძარში შემუსრა სამი კერპი: ბერძნული რე-
დაქციებით—დიოსის, ჰერაკლესი და აპალონისა; ქართულ პირველ რედაქ-
ციაში დიოსის მაგიერ დასახელებულია „მთავარი კერპი გალმადიოზ (A).
ან აგალმადიოზ (B). მიუხედავად ბერძნული თითქოს სუფიქსისა (ოზ—ოს), აქ
ბერძნული სახელი არ უნდა გვექონდეს (თუ, რასაკვირველია, აქ ერთ სიტყვას
ვიგულისხმებთ). მაგრამ ისიც შესაძლებელია და უფრო სავარაუდებელიც,
რომ აქ ჩვენ გვაქვს ორი ბერძნული სიტყვა: ჰერაკლესი—ქანდაკება, კერპი და
Δ.α.β.—დიოსი. ალბათ მთარგმნელს თუ გადამწერტ, გაუგებრობის გამო, ეს
ორი სიტყვა გაუერთიანებიათ, და აქედან წარმომდგარა დამახინჯება¹¹. სა-
ყურადღებოა ამ შემთხვევაში მეორე ქართული რედაქციის ჩვენება. აქ აკვი-
ლინეს და კალენიკეს როლები ერთმანეთში არეულია: ის, რასაც კალენიკე
აკეთებს სხვა რედაქციებით, ამას აქ აკვილინე აკეთებს. კალენიკეს უფრო
ადრე აწაშებენ, ვიდრე აკვილინეს. სამ კერპსაც ეს უკანასკნელი დაამხოვს.
პირველი კერპის—დიოს აგალმადიოსის—სახელი აქ მოყვანილი არ არის, მწე-
ლია თქმა, ასეთი აღრევა დედანშივე იყო, თუ ეს მთარგმნელის საქმეა. ამავე
რედაქციით, აკვილინეს (კალენიკეს) წამებაში შეტანილია ერთი დეტალი,
რომელიც სხვა რედაქციებმა არ იცის, საბელდობრ—მეფის ბრძანებით „შე-
ქჩნეს მანუური და განაცუეს სარცხუენელსა ნისსა და განსწუეს და დამოკიდეს
მითურთ“.

ამ მეორე რედაქციაში ყურადღებას იპყრობს ქრისტეფორეს საპასუხო
სიტყვები მეფისადმი ერთ ერთი დაკითხვის დროს: „მე მტერ ვარ ბედისა შე-
ნისა და დევისა მაგის, რომელსა-ცგე შენ მსახურებ“. „დევის“ შეტანა საეკლე-
სიო ძეგლში ქართველი მთარგმნელის საქმე უნდა იყოს („დევი“ გვხვდება
შუშანიკის მარტვილობაშიც).

მეთორმეტე თავი ქართული რედაქციისა (პირველის) ძალიან ვრცელია.
აქ მოყვანილია რამდენიმე ლოცვა ქრისტეფორესი; განსაკუთრებით უნდა და-
ვასახელოთ ის ლოცვა, რომელშიაც ქრისტეფორე ღმერთსა სთხოვს თავისი
ნეშტის პატივისცემის განდიდებას მორწმუნეთა შორის. ღმერთმა დაუდასტუ-
რა მას, რომ მისი თხოვნა ასრულებული იქნება. ეს ლოცვა თავისი მოტივით
ძალიან გვაკონებს იმ თხოვნას, რომლითაც მიმართა ღმერთს სიკვდილია წინ
ბოა მოწამენ¹². ეს ლოცვები ბერძნულ რედაქციებში მოკლედაა მოყვანილი.

¹¹ სიტყვა ალამა გვხვდება ვ. ბ. ა. რ. ე. ის რომანში „არმაზის მსხვერვა“.

¹² ვ. კეკელიძე, კიმონი, II, 49.

ბერძნულში არაა, სხვათა შორის, შემდეგი სიტყვები: „და მოაქუნდა ტახტი ოქროსაჲ მიქაელს და გაბრიელს, ურიელს და სურიელს, ოთხთა ანგელოზთა მთავართა და დადგეს იგი“. ეს სახელები მოტანილია ამ ნაწარმოებში აპოკრიფული ენარის ლიტერატურიდან. იმათ ვერ ვხედავთ ვერც ბერძნულს, ვერც მეორე ქართულ რედაქციებში.

ქართული რედაქციის მეცამეტე თავი. სიტყვებიდან „და თანაწარვიდოდა ქალაქსა მას მდინარჲ ერთი დიდი“ ბოლომდე, ბერძნულ რედაქციებში არაა. სამაგიეროდ ქართულში არაა ბერძნულის მთელი ბოლო აბზაცი (Ussner 75,17-76,19), ეს არ არის არც ბერძნულ II-ში.

რაც შეეხება ამ ნაწარმოებში ჩამოთვლილ მარტვილთა წამების თვესა და დღეს, ეს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ქართულით		ბერძნულით
	I რედაქცია	II რედაქცია	
ავეილინა	1 ივრიკა	მიქრაქანი 15	1 აპრილს H (AB-ში არაა ნაჩვენები).
კალენიკე	2 ივრიკა	არაა	2 აპრილს II (AB-ში არაა ნაჩვენები).
200 მხედარი	7 ივრიკა	ქუელთობა 28	7 აპრილს HB IA-ში არაა ნაჩვენები).
10000 სულ.	8 ივრიკა	სთუელისა 25	9 აპრილი B (IIA-ში 9 ივლისს).
ქრისტეფორე	12 ივრიკა	მიქრაქანი 5	9 მაისს IAB.

ამ ცხრილიდან ჩანს შემდეგი: ზოგ ბერძნულ რედაქციაში სულ არაა აღნიშნული თვე და რიცხვი: ოთხ შემთხვევაში ნაჩვენებია აპრილი, ორში — ივლისი და ერთში — მაისი. ქართულ პირველ რედაქციაში საქმე უფრო თანმიმდევრულადაა წარმოდგენილი. აქ ნაჩვენებია ერთიდაიგივე თვე ივრიკა. ივრიკა არის წარმართული სახელი ერთ ერთი თვისა. ეს თვე. ჩვენი გამოანგარიშებით, უდრიდა აგვისტოს წელიწადში 4 მარტ — 2 აპრილს. ხოლო სექტემბრისაში 3 აპრილ — 2 მაისს¹⁸. ბერძნულში კი მას, მცირე გამოანაკლისის გარდა, უდრის აპრილი, ქართველი მთარგმნელი იღებს სექტემბრის წელიწადს. ეს გამოანგარიშება ასე თუ ისე უახლოვდება ბერძნულ კალენდარულ მონაცემს, თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ წარმართული სახელების ხმარებაში ქართველი მწიგნობრები უკვე VIII—X საუკუნეებში ყოველთვის ვერ ერკვევიან ჯეროვნად. ეს ჩანს, თუ გნებავთ, ქართული მეორე რედაქციის მონაცემებიდან, რომელთაც არაფერი საერთო არ აქვთ სავა რედაქციასთან. ამით, ალბათ, აიხსნება, რომ ქრისტეფორეს ხსენების დღე შემდეგი დროის ქართულ ლიტურგიკულ აგიოგრაფიულ ძეგლებში ან სულ არაა მიმავრებული ანა თუ იმ თვესა და რიცხვს, ანდა დადებულია სხვადასხვა დროს: 1 ივნისს, 27 აპრილს, 5 მაისს, 9 მაისს და ა. შ.

ამ ძეგლით ქრისტეფორესთან ერთად ეწამნენ ავეილინე, კალენიკე, 200 მხედარი, 10000 სული, კიდევ 200 სული; მარტვილობის ბოლოში კი ვკითხულობთ: „მის თანა იყოს ოხაჲ და ლოცვაჲ წმიდისა ქრისტეფორჲსი და ბევრთაჲ და ორას და სამთაჲ“. „სამთა“ შესახებ ძეგლში არაფერია ნათქვამი. საქმე ისაა, რომ რომის ერთ-ერთ მარტვილოლოგში ივლისის მეზვიდე იღებია ქვეშ ნათქვამია: Romae ad Guttam iugiter manantem s. Zenonis et aliorum decem onilium ducentorum trium (Ussner, S. 72, შენიშვნა მე 29

¹⁸ კ. კეკელიძე, ძველი ქართული წელიწადი (თბილ. უნივერსიტ. შრომები, ტ. XVIII, 194 წ.), ეტიუდები, I, 99-124.

სტრიქონისა). „ბევრთა და ორას და სამთაჲ* ხომ პირდაპირი გადმოცემაა“ „decem milium ducentorum trium“! უნდა ვიფიქროთ, ქართული დედნის ავტორს აურევია, თუ სხვა რაინე მიზეზით გადმოუტანდა ქრისტეფორეს მარტილობაში ნაჩვენები პასაეი ზენონის აგიოგრაფიიდან.

IV. ისტორიულ-გეოგრაფიული ცნობები თხზულებისა, დრო მისი წარმოშობისა და მხატვრული ელემენტები

თხზულებაში ნოცემული ისტორიულ-გეოგრაფიული ცნობების მხრივ ავტორი მისი ძალიან მოისუსტებს, ის ისეთს ცნობებს იძლევა, რომელთა გამართლება და გაგება ძნელია. ეს არც გასაკვირველია, თუ მხედველობაში გვექნება, რომ თხზულება განეკუთვნება აპოკრიფული ენარის ლიტერატურას.

როდის აწამეს ქრისტეფორე? ამის შესახებ წყაროებში სხვადასხვა ცნობაა. ზოგიერთი ლათინური წყაროს ჩვენებით ის აწამეს მეფე დაგნეს დროს, მაგრამ ასეთ მეფეს ისტორია არ იცნობს. ქართული თარგმანის პირველ რედაქციაში, აგრეთვე ყველა ბერძნულში, ქრისტეფორეს წამებას ადგილი ჰქონდა იმპერატორის დეკოზის მეოთხე წელს. მაგრამ როგორ შევათანხმოთ ეს ცნობა იპასთან, რომ დეკოზი მეფობდა მხოლოდ ორ წელს (249 - 251), ასე რომ „მეოთხე“ წელი მისი მეფობისა ისტორიამ არ იცის. უფრო საკვირველია ქართული მეორე რედაქციის ცნობა ამის შესახებ. ეს რედაქცია ასე იწყება: „წელთა მეფობისა ივლიანშათა და დეოკლიტიანშათა დეკო მსაჯულითურთ“ (ივლიანე და დეკოსი მოხსენებულია სომხური მარტილობის დასაწყისშიც)¹⁴, აქ ქრისტეფორეს თავგადასავალი ივლიანესა (361--363) და დეოკლიტიანეს (284--305) მეფობაშია დადებული და, რაც უფრო განსაცვიფრებელია, მეფე დეკოზს აქ ეწოდება „მსაჯული“ დასახელებული იმპერატორებისა. ბერძნული რედაქციების ავტორებს სურთ გაამართლონ დაკავშირება ქრისტეფორესი დეკოზის სახელთან და ამიტომ ამბობენ, რომ ქრისტეფორე და მასთან 200 ჯარისკაცი მონათლა ანტიოქიის ეპისკოპოსმა ბაბილამო (238 - 250). მოკლული ქრისტეფორეს გვამი დასამარხად შეუსყიდია ერთს ეპისკოპოსს; ჩვენ რომ ვიცოდეთ ამ ეპისკოპოსის ვინაობა, იქნება მისი სახელით დაგვეთაროდებია ეს ამბები. მაგრამ ქართულ რედაქციაში მას ეწოდება ათანასე, ბერძნულში პეტრე, გაურკვეველია, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მისი საეპისკოპოსო კათედრის ადგილიც, მაშასადამე, ვერც ქრონოლოგიას გავარკვევთ მისას. ერთი სიტყვით, ჩვენ არ მოგვეპოვება სანდო საყრდენი ამ ნაწარმოებთან დაკავშირებული საკითხების სარკვევად.

უკეთეს მდგომარეობაში არც თუ გეოგრაფიული საკითხების ხაზით ვიმყოფებით.

რომელიდაც უცნობ ომში დატყვევებული ქრისტეფორე მიჰგვარეს „მეფეს“ თუ „მსაჯულს“ დეკოზს; ის ზუდავ უკანასკნელის მახლობელად იმყოფება, აქედან საგულგებელია, რომ ის ცხოვრობს იმ ქალაქში, სადაც ეს დეკოზი იმყოფება. ამ ადგილიდან „ამოიყვანა“ მან 200 ჯარისკაცი მოსანათლავად ანტიოქიაში. ცნობილია ორი ანტიოქია: სირიაში და პისიდიაში. რომელი ანტიოქია იგულისხმება აქ? თითქოს სირიის ანტიოქია: 1) ბერძნულ A-ში ნაჩვენებია εν παλαι: Ἐντιοχία τῆς Συρίας 2) ისინი მონათლა ეპისკოპოსმა ბაბილამ, რომელიც ცნობილია როგორც ეპისკოპოსი ანტიოქიისა სი-

¹⁴ Bibliotheca hagiographica Orientalis, p. 46.

რიაში. მაგრამ ერთი გარემოება იქცევს ყურადღებას: როდესაც ისინი წონათლა ბაბილამ, იმავე ბერძნული რედაქციით (A). *απυεαυ ε;ε τ;υ Ηεργυυ* პერგია მდებარეობდა პამფილიაში (ის მის მიტროპოლიად ითვლებოდა). ეს გარემოება სულ გვიბნევს გზას: პერგიისაგან საკმაოდ დაშორებულია როგორც სარკის, ისე პიაიდის ანტიოქია. მიუხედავად ამისა, ბერძნულ-ქართული რედაქციები მარტვილობისა ქრისტეფორეს სიკვდილს, ასე თუ ისე, მაინც პამფილიას უკავშირებენ. მართლაც, ქრისტეფორეს სიკვდილს შემდეგ ქართულ რედაქციაში (პირველში) ვკითხულობთ: „მოვიდა ათანასე ეპისკოპოსი მოსახლვრშ სპარსეთისაჲ ქალაქისა იტალიაჲსაჲ (მეორე რედაქციაში: „ქალაქის იტალიაჲსა, რომელ არს საზღვართა სპარსეთისათა“) და მოითხოვა გუამი იგი სანატრელისაჲ მის და მოილო თჳსად ქალაქად“. როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ათანასეს მაგიერ ბერძნულ რედაქციაში არის პეტრე. მეორე: ეს ათანასე-პეტრე არის ეპისკოპოსი, ქართულით და ერთი ბერძნულით, იტალიისა, რაც უდავო შეცდომაა, უნდა იყოს „ატალიისა“, როგორც ამას ვკითხულობთ ბერძნულ HA-ში. ეს ატალია-იტალია, ქართულითა და ბერძნული IB-თი, არის მოსახლვრე სპარსეთისა, *σπασπιαυ τ;υ 'Αυρε;α;ε;ε Ηερα;β;ε;ε*, ხოლო ბერძნული A-თი—*σπασπιαυ τ;υ Ηερα;β;ε;ε* ატალია არის ქალაქი პამფილიისა; ქრისტიანობა აქ იქადაგეს პავლე და ბარნაბა მოციქულებმა. დეკოზ იმპერატორის დროს აქ ეწამნენ ქრისტიანობისაოვის პაპი. დიოდორე, კონონი და კლავდიანე¹⁸. პისიდის ანტიოქია იმდენად დაშორებულია სპარსეთისაგან, რომ თქმა იქისა, ვითომც ის მოსახლვრე იყო სპარსეთისა, შეუძლებელია. მაშასადამე, ქართულ-ბერძნული რედაქციების „სპარსეთისა Ηερα;β;ε;ε“ უდავო აღრევაა პისიდიასთან. არის ისეთი ცნობაც, თითქოს ქრისტეფორე აწამნეს ლიკიის ქალაქ სამოში, მაგრამ ასეთი ქალაქი ლიკიაში არაა ცნობილი. ტიმოთე გაბაშვილს შენიშნული აქვს თავის მოგზაურობაში, რომ ქრისტეფორე თითქოს პისიდიაში უწამებიათ: „მივედით პისიდიას, ამბობს ის, და ვიხილეთ მიტროპოლიტი პისიდისა და, მოვიკითხვედით რა აშბავთა მუნებურთა, გვეტყოდენ, ვითარჲდ არს აქა ტბა და მას შორის ეკლესია, რამეთუ მუნ არს სამარხო წმიდისა მოწამისა ქრისტეფორესი, რამეთუ მუნ წამებულა“ (მომოსლვა, გამოცემა ე. მეტრეველისა, გვ. 95). ეს ცნობა არ მართლდება ქრისტეფორეს მარტვილობის არცერთი რედაქციით, არსად ნაჩვენები არაა, რომ ის აწამნეს ტბის ერთ-ერთ კუნძულზე.

ამრიგად, ჩვენს თვალწინ იშლება: ერთი მხრით, პამფილია და მისი ქალაქები პერგია და ატალია, მეორე მხრით—პამფილიის მოსახლვრე პისიდია მისი ანტიოქიით. ეს გარემოება სავსებით გასაგებს ხდის ქრისტეფორეს ადვილ გადასვლას აქ ნაჩვენები ერთი პუნქტადან მეორეში. მისი დრამა გათამაშებული უნდა იყოს პამფილიაში. ამავე დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ. ერთი მხრით, ის გარემოება, რომ ქრისტეფორე ახლო იმყოფება მის მტანჯველ დეკოზთან, რომელიც, როდესაც კი მოინდომება, უძახის მას დასაკითხავად, მეორე მხრით—ჩამოთვლილი პუნქტები არც ისე დაშორებულად ჩანან ძისი სამყოფი ადგილიდან. ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ დეკოზი არ იმყოფება რომში ქრისტეფორეს გასამართლების დროს. აქედან ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დეკოზი არის არა იმპერატორი რომისა,

¹⁸ Терпиевский С., Очерки из церковно-исторической географии, в. I, Казань, 1893, гл. 324.

არამედ „მსაჯული“, კომსი, დუქსი, გამგე პამფილიის პროვინციისა ან დეოკლიტიანე, ან ივლიანე განდგომილის დროის, როგორც ეს ნაჩვენებია ქართულს მეორე რედაქციაში. აპოკრიფში, რომელშიაც მოხდა აღრევა ზემოჩამოთვლილი გეოგრაფიული პუნქტებისა სირიასა და სპარსეთთან, ის იქცა უკვე მეფედ რომისა.

ქრისტეფორეს გვამი ათანასე თუ პეტრე ეპისკოპოსმა გადმოასვენა თავის ქალაქში, ატალიაში. „და თანა-წარვიდოდა ქალაქსა მას მდინარს ერთი დიდი და წლითი-წლად გარდამოიქცის და დაარღვის ქალაქი იგი“. ეპისკოპოსმა „ალაშენა სამარტულს გარდამოაადინელსა მის წყლისასა და მუნ დადვა წმიდა იგი“. ეს აბზაცი, რომელიც მოკლედ ბერძნულ *Α-შიდაც* ჩკითაება (*Use-III, 75*). მეორე ქართულ რედაქციაში ზოგიერთ ზედმეტ დეტალს გვაძლევს: „და წარდიოდა მდინარე ქალაქსა მას (ატალიას) თანა, და შექნა სამარტულთა კიდესა მის მდინარისასა... და მიერ გამოთვან არლარა დიოდა მდინარე იგი მას კუალსა და სხუად კერძოდ იქცა და არლარა ანო ქალაქსა“. ეს აპონაწერი მოვიტანეთ იმ ვარაუდის გასამართლებლად, რომ გეოგრაფიული ძიებისას საქმე გვაქვს სწორედ პამფილიის ატალიასთან. აი რას ვკითხულობთ ამ ქალაქის შესახებ ერთ სპეციალურ ნაშრომში, რომელიც რუს მეცნიერს ეკუთვნის: „город Аталия лежал при самом море, при устье быстрой реки Катаракта. Река эта вытекает двумя большими рукавами из под огромной скалы, при своем течении два или три раза повертается в подземные прощадки, впадая в средиземное море, образует несколько водопадов¹⁶. ქართულ რედაქციაში მოცემული პეიზაჟი ატალიისა და ცნობა მდინარის შესახებ საკმაოდ უახლოვდება ამ აღწერილობას.

ბერძნულ-ქართული რედაქციების ურთიერთობის განხილვას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ თარგმანი პირველი ქართული რედაქციისა უნდა მომდინარეობდეს ბერძნულიდან. ამის საპირგებლოდ ლაპარაკობს, ერთი ნაბრით, საკუთარი სახელების ბერძნული ოხ-ით დაბოლოება: ჰრეპრებოს, ბაქთიოს, ქრისტეფოროს და მისი ქართული თარგმანი „ქრისტე-შთაცმული“, დეკოს, — მეორე ნაბრით, ისეთი ბერძნულში, როგორიცაა „აგალმა“ (აგალმა დიოს). თვით შინაარსობლივი შესატყვისობაც ქართულ-ბერძნული ტექსტისა ამისი მაჩვენებელია. ქართული თარგმანი ახლო დგას, როგორც გრამატიკულად, ისე განსაკუთრებით ლექსიკურად, ქრისტინესა და გულანდუბტ სპარსის მარტვილობასთან¹⁷. ლექსიკიდან ამ თვალაზრისით საყურადღებოა „ნაქმევი“, „შეიგალნეს“, „შეიგრძნობე“, ხოლო გრამატიკულად შემდეგი სინტაქსური მოვლენა: როდესაც დამოკიდებული წინადადება იწყება სიტყვით „ვითარცა“ და წინ უსწრებს მთავარს, მათ შორის ჩნდება კავშირი „და“¹⁸. თუ ამასთან ერთად ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებასაც, რომ ტექსტში სისტემატურად იხმარება წარმართული სახელწოდება თვეებისა, შესაძლებლობა გვექნება ვთქვათ, რომ ქართული თარგმანი ერთ-ერთი უძველესი თარგმანია, არაუგვიანესი მერვე საუკუნისა. როგორც განსაკუთრებულს, თავისებურ რედაქციას, მას დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს.

¹⁶ Терновский С., Очерки из церковно-исторической географии, гл. 324. მეორე რედაქცია, რომელიც იწყება მსგავსად სომხურისა, შეიძლება სომხურიდან მომდინარეობდეს.

¹⁷ ვ. კეკელიძე, ეტიუდები, III, 178—259.

¹⁸ იქვე, VI, 2, გვ. 208.

ნაწარმოებში არაა უგულვებლყოფილი არც მხატვრული მხარე; იმაში ჩვენ მრავლად გვაქვს ზედმოქმედი სურათი, მეტაფორები, შედარებანი. ცოცხალი დიალოგი და სხვა პოეტური აქსესუარი. აი როგორი სურათია აქ დახატული ქრისტეფორესი: „თავი მისი მსგავს არს ძალღისასა, თმამ თავისა მისისაა გარდაკეცილ არს ორთავე ბექთამდე, მწითურ არს ეგრე, ვითარცა ოქროდ, თუალნი მისნი — ვითარცა მასკულაჲ, რომელი განთიად აღმოჰქდის, ხოლო კბილნი მისნი ეგრეთ გარე უსხენ, ვითარცა ეშუსა, და სიმაღლს კაცისა მის დიდ არს ფრიად“. მეფემ „მოსრნა“ 10000 ახლად-მოქცეული მოქალაქე „არაა თუ თავის მოკუეთით ყო. ვითარ-იგი წეს არნ. არანედ ეგრე სახედ, ვითარ მგელი რაა შექდის ბაკსა ცხოვართასა, რომელსა არა არნ მწყემსი, ეგრეცა მან ურჩულომან მოსრნა ესე ახალნერგნი“. „არა თუ კაცებო რაამე დამოკიდებულ იყო (ხეზე კალინიკე), არამედ ვითარცა თხიერი“. ქრისტეფორე განთავისუფლდა უზარმაზარი ლოდისაგან, რომელსაც ის გამოაბეს; მან „მოილო ლოდი იგი და დაიდვა ნებსა ზედა თქსსა ეგრე სახედ, ვითარცა ქალი რაა იმღერინ ვაშლითა, ეგრეთ მოვიდოდა ტაძრად“.

ეს ნაწარმოები რომ დიდად პოპულარული ყოფილა იმდროინდელ საზოგადოებაში, ეს ჩანს იქიდან, რომ მისი უძველესი ნუსხები (ორივე რედაქციისა) შეიდაძნდა ცნობილი დღეს. ამაზე მიუთითებს ისიც, რომ ქრისტეფორეს იკონოგრაფია მიღებული ყოფილა არა მარტო ხელნაწერში, არანედ ეკლესიებშიდაც. ჩვენ თვითონ გვინახავს ჩვენი მოწათეობისას სემინარიის ეკლესიაში ფიცარზე გამოხატული მისი სახე.

V. ტექსტისათვის

წინააღმდეგარე თხზულების ტექსტში გვხვდება გადამწერლის სხვადასხვა ხასიათის შეცდომანი, რომელნიც ნაჩვენებია აპარატში. ტექსტში ვამჩნევთ ზოგიერთ თავისებურებას.

I ფონეტიკური:

- 1) ჯ გამოხატავს როგორც უი-ს, ისე უ-ს.
- 2) რ-წ: რჩული, შჯული, იხმარება ერთნაირად.
- 3) ი/ე: დეკიოზ-დეკეოზ, ჩვენ ვტოვებთ დეკეოზ-ს.
- 4) კ/ო: კუეზაჲ-ხუეზაჲ.
- 5) პრევერბში აღ ლ გამოტოვებულია: აჰმართეს, აჯდა, აჰხოცეს, ავეოცო.
- 6) ორი რ სიტყვაში „ქურჭერი“.
- 7) დაკარგვა ხ-ისა სიტყვაში „მწრაფლ“

II მორფოლოგიური:

1) ე ფუძიანი სახელების ბრუნვებში მ ხშირად გვაქვს იქ, სადაც არ უნდა იყოს, და არ გვაქვს იქ, სადაც უნდა იყოს, არც თუ ზმნათა ფორმებში იხმარება ის ყოველთვის სწორად, მაგალითად, ვხვდებით მას ბრძანებითს კილოში: შეიმოსს და სხვა.

2) გვაქვს შემთხვევები ორმაგი პრეფიქსის ხმარებისა. მაგ. ჰმსძლავრობდა.

3) ორნაირი ფორმა ზმნის პირველი პირისა მრავლობითში: „მრწამს ჩუენ“, „გურწამს ჩუენ“, „გურწმენა ჩუენ“.

4) შეკვეცილი ფორმა ზმნის მეორე პირისა: „შენცა გურწამ“, ესე იგი — „შენც გურწამხარ“.

III სინტაქსური:

1) „ვითარ მიესმა სიტყუაჲ ქალისაჲ, და ჰრქუა მას“ „რადცა გნებავს, და იქმოდე“.

2) ორმაგი კითხვის ნიშანი: „შეგვძლო ძი ა ჩუენ ცთუნებად“.

IV ლექსიკა:

თხზულებაში გვხვდება დაძველებული თუ იშვიათად ხმარებული სიტყვები, რომელთა ახსნა განმარტებას წარმოვადგენთ აქ.

აეროვნება — აღმატებულება, სიდიადე.

ავლი — ნაცარი, ფერთლი.

აღმოგუალე — აღმოვედ, ასოდი.

აღმოვდის — ამოვალს, ამოდიას.

აღვდა — აღვიდა, ავიდა.

აქირვეებ — ტანჯავ, აწვალეებ, აწანებ.

ბაგინი — წარმართთა სამსხვერპლო.

ბევრი — ათიათასი.

ბრბენი — ტყვია.

ბრძოლა-სცა — შეებრძოლა, შეება.

განოგარჩინა — გამოგარჩია.

განიძლენით სულნი თქუენნი — გააძლეთ თქვენი თავი.

განმარტება — გაშლა.

განმიწყრა გული ჩემი — აღმიშფოთდა, გამიჯავრდა გული.

განსცა ბრძანებაჲ ბრძანება გაუგზავნა, განოუშვა.

განტევებული — განწირული, დაღუპული.

განვძელი — გამხმარი, ხმელი.

გასთქდებოდეს — დაიშლებოდა.

გერჩდე — გისმენდე, გემორჩილებოდე.

გიგნენ — მოგიგონ, პასუხი გაგცენ.

გიწესს — გეძახის.

გუნდი — სამიედრო შენაერთი.

გურწამ — გეწამბაო, გვაქვს შენი რწმენა.

დაქარღუნის — არღვედა.

დაიღუაწნა — იღვაწა, იშრომა, დაშვრა, გაისარჯა მათთვის.

დასდევ ბრძანებაჲ — გამოეცი ბრძანება, კანონი, განკარგულება.

დაქრა — შეწუხება, დარბევა, ტანჯვა.

დიაკონი — სამღვდლო პირი, ეკლესიის მსახური.

ეახლნეს — მიუახლოვდნენ, მივიდნენ მასთან.

ევატაკი — იატაკი.

ეგულეობდა — სურდა, გული უთქვამდა.

ეხო — ტაძრისაჲ — ფარდა სასახლისა.

ეძალნეს — დაეხმარნენ.

ვერჩდეთ — დავეშორჩილოთ, გაუგონოთ (იხ. გერჩდე).

ვერქელ-მეწიფეების — არ შემიძლია, ძალა, უფლება არა მაქვს.

ზედამდგომელი — უფროსი, უურისმგდებელი.

ზედა-მოსლვაჲ — თავდასხმა.

ზეუქუნ იქრა — ზეზე წამოიქრა, ადგა.

თავს-ვიდეებ — დაუითმენ.

თავს-ისხნა—თავსიღვა, დაითმინა.

თუშცა resy. თუცა—რომ.

იგრიკა—ძველი წარმართული სახელი თვისა.

იღღერინ—თამაშობდა, ერთობოდა.

იქცეოდეს—იყვნენ, ცხოვრობდნენ.

იჩინებ—ირჩევ (შეად. გამოგიჩინა).

იკვრობდეს—სქვრეტდნენ, ხედვიდნენ.

ლანკლა—ლანჯანი, თეფში.

მაგრიად—მაგრა, ძლიერად.

მარჩბივი—ტყუპი, ორი.

მეგულვებოდა—მინდოდა, გულში მქონდა (შდრ. ეგულვებოდა).

მიაგის—სამაგიეროს გადაუხდის, მისცემს.

მიეწივოს—შეხედეს, მიენიქოს, მიაღწიოს ვინმემდი.

მღევანი: ექემღევანი—ამნაირი

მოათრის ყოველი ქალაქი—თრევით შემოატარეს ყოველი ქალაქი.

მოგუელია—შემოგველია, გაგვითავდა.

მოგჯადნეს—მოგთხოვოს, გაზღვევინოს.

მოიძარცუა—მოიხადა.

მპოხელი—მზრდელი.

მოსაბლარდნელი—მოსახვევი.

მოსიკუდიდ—მოსაკლავად.

მოსრა—მოკლა, შემუსრა, მოსპო.

მოსხნაჯელნი—მოკიდა ხელები.

მოუვლინებზე—მოუვლინებზეარ, გამოუგზავნივარ.

მოხუტენით—გაფხიკეთ, ხორცი შემოაცალეთ.

მოწილვა (ვარდისა)—მოკრეფა ვარდისა.

მუნქუესვე—მაშინვე, იმწამავე.

მძაფრიად—ძლიერად, სასტიკად.

მძლეს—ძძლიეს, მომერიენენ, მაჯობეს.

მხუდებოდა—წილში ქერგებოდა.

მკდომი—მტერი.

ნაქმევი—გარეგნობა, შეხედულება. „ნაქმევსა პირისა მისისასა შესცხრებოდა“, „საკვრულსა იტყვან ნაქმევსა პირისა მისისასა“, „და ვერ მოგაცხენო ნაქმევი პირისა მისისაჲ“.

ნები—ხელის გული.

ეამსა შინა—მაშინ, იმდროს.

როქიკი—ჯამაგირი.

საკლავი—მოსაკლავად განწირული.

სამარტჯლე—მოწამეთა განსასვენებელი, სალოცავი სახლი.

სამძალი—საჩუქარი, სასყიდელი, სამაგიერო, სანაცვლო, წინდი.

საპყრობილეთ-მოძღუარი—ციხის, საპყრობილის უფროსი.

საჯუმილი—ლუმელი, ილუი.

სენაკი—ოთახი, განმარტობით საცხოვრებელი.

სიდაშნე (დაშნი)—კრძალვა, მორიდება, მორჩილება.

სტრატიოტი—მხედარი, ჯარისკაცი.

სუდარი—ზეწარი, ქსოვილი, რომელშიაც მიცვალებულს ახვევდნენ.

ტაძარი—სასახლე (დიდი კაცისა), ეკლესია (ღვთის სახლი).

ტუსვაჲ—დაწვა, ცეცხლის წაკიდება.

უბადო—უბედური, შესაბრაალი.

უგოა კერპთა—შესწირავ კერპებს მსხვერპლს.

ფერიტა კაცისაჲთა—კაცის სახით, „ფერი კაცი“—ასეთი სახის კაცი.

ფქვილი—წისქვილის ქვა, „ფქვილის სასწორი“—ისეთი რამ, რაც წონით, სიდიდით წისქვილის ქვას უდრის.

ქრისტე-შთაცმული—ქრისტემოსილი, თარგმანი ბერძნული *χριστός*-ისა.

შეანებო—ნებაერ ყო.

შებმა უყო—შეება.

შეგაქუენო—შეგაწუხო.

შეგკლო—შეძლება გექნება ჩვენდა მიმართ.

შეეტებო გუამსა—სიყვარულით მოეხვია გვამს.

შეიგალნეს (კორცნი)—დაიღწა, დაინაყა.

შეიგრძინებენით (გრძნება)—მოიხიბლენით, „შეიგრძინებე“ — მოიხიბლე.

შეიდღვლებნეს (A), შედღვლებულ (B). გაზოცემაში ვტოვებთ ამ სიტყვას, რომელიც დაძახინჯებული უნდა იყოს როგორც A, ისე B-ში. აქ უნდა გვქონდეს სიტყვა „დღვება“ (რძისა, კარაქისა); აზრი წინადადებისა იქნება: ქუჩა-ქუჩა თრევისაგან ქრისტეფორეს სხეულის ხორცი დაიგევა ისე, რომ ის დაეშვასა შედღვლებულ ნივთიერებას, ცომად იქცა.

შეიცივნა—მოიცვა.

შერბიოდა—ჩქარა შედიოდა.

შერისხნა—გაუჯავრდა.

შესულელებული—გასულელებული, ქეუა არეული.

შესცხრებინ—ერთობოდა, შეექცოდა, *посетаяся*.

შეუტდეს—მიუხდნენ, მიეპრენ.

წარშოამქუნა—დაამხო, დააქცია.

წინა-გიც—წინგიდგას, მოგელის.

წყუედა—ამოწყვეტა, ამოელეტა, სიკვდილიანობა.

ჭურვილი—შეიარალებული.

კამლი--ფეხსაცმელი.

კსნილი--განთავისუფლებული.

კუეზაჲ--პური.

ჯოხტაკი (B)—ბრძანება (A). „ჯოხტაკი“ შედგენილი უნდა იყოს ორი ნაწილისაგან: ჯონ + ტაკი < დაკი-კონდაკი.

კბრძოლა—მოერია, დაამარცხა.

ასლა მოვიყვანთ თვით თხზულების ტექსტს.